# სახალხო ფურცელი

შურათებიანი დამატება

გაზეთის № 514

დამატების № 92

კვირა, 28 თებერვალი 1916 წ.


137/3 №: 2804




სამშობლოსათვის თავდადებული.

## შავი თოვლი

გუშინ იყო, თუ გუშინ წინ—არ მახსოვს!
ეს კია რო, როგორც მაშინ, ეხლაც თოვს
და რომ ფიქრი როგორმე დამეოკა,
ჩემს ოთახში ვმარტოობდი მარტოკა!
მე ვგლოვობდი... მე ვგლოვობდი ამ ჩემს გულს,
გულს გარდაცვლილს, გულს სხვის გულში გადარგულს,
გლოვის ჰანგებს, გლოვის ჰანგზე ვარხევდი
და თან ვწერდი. ვხევდი. ვწერდი. კვლავ ვხევდი.
და გარედ კი—ვით დღეს ცივა—ციოდა,
თოვლის თეთრი ზამბახები სცვიოდა.
თეთრი თოვლი! ისე თეთრი რამ არის,
ვით კბილები დედოფალის თამარის!

და დაღამდა. და დავანთე ლამპარი,
გამახსენდა რაღაც ძველი ზღაპარი
თუ ერთ ქალში ვით ბუდობდა სატანა,
მომესურვა ქაღალდზე გადატანა
და მეც ვწერდი უნაკლულოდ, მხნედ, სრულად,
ვწერდი ქინით, ვწერდი ზღაპარს ზღაპრულად;
ისე ვიყავ წერით გატაცებული—
ვერ შევნიშნე ლამპარი აწეული,
ვერ შევნიშნე ჩემს გარშემო ალმური
ვერ შევნიშნე და: აჭვარტლდა სადგური.
გარედ თოვლი ვით დღეს—კვლავ მოდიოდა
და ჩემ სახლშიც ჭვარტლი თოვლად სცვიოდა!

ი. გრიშაშვილი.



ა რ ზ რ უ მ ი.

# პრიგრევიცა და იმისი ინტელიგენცია *)

(სერბიული)

ი. პროშიჩისა.

დილის მხიარული მზე აღმოსავლეთით კარგა ხანია მაღლა ამოწეულა. თვისი მდღვრიალა სხივები დანამულ ფოთლებისთვის მიუპყრია და ზედ ათასჯერ ბჭყვრიალა მძივებად აკინძულა. ხოლო დილის სიო წამოეპარება თუ არა და დაუბერავს, ფოთლები შეირხევა და რამდენიმე წვეთი, ვით ცრემლი, ძირს ჩამოვარდება. იქ, ბუჩქებში, ჩიტებს ჭიკჭიკი გაუდით, ქანაობს ტოტები და სურნელება გცემთ ცხვირში.

გვერდზე ოდნავ გადაწვენილ ბუხრიდან ნელა ამოდის კვამლი. დაიჭრიალა ვილასიც ჭის თავზე წყლის ამოსაღებმა ორთაყვირმა, ფანჯრის ქვეძოდან მერცხალი გამოფრინდა, დილის გრილი სიო თვალსა ჰბანს ადამიანს და უგრილებს ჯერ ისევ გახურებულ შუბლისა.

სოფლის შუა გულს პატარა ეკლესიაა ამართული. სუსტი ზარის რეკა ნელა ეფინება ჰაერში, ეკლესიის საათი კი, თითქოს მუდამ ფხიზელი რაღაცა თვალიაო, ყურადღებით დასცქერს მთელს სოფელს: იწერს პირჯვარს დედაბერი სქავია, წირვაზე რომა ჰრეკავენ, ან და ყველა იხდის თუ არა ქუდს, როცა დაჰრეკვენ „ღირსაარსზე“.

ეკლესიის ახლოს, მეორე გორაკზე, პატარა სკოლა მოთავსებულა და თვისი ბუნდოვანი ფანჯრებით თვლემით გაჰყურებს ამომავალ მზეს.

საათის ისარმა ოდნავ წაიწია წინ. დაჰბერა ქარმა და სკოლის ზარი გააქან-გამოაქანა, მოხუცმა მასწავლებელმა კი მოწყენილი შეიკრა წარბი და სასოწარკვეთით ცხვირს დააცემინა.

— დღეგრძელობა, ხეირი! უსურვა მამა დამიანმა ეკლესიის აივნიდან და მეზობლად ნაგავზე მამალმაც ყიყლიყო მიაყოლა.

— გმადლობთ, გმადლობთ!—მიუგო მასწავლებელმა —გისურვებთ დილას მშვიდობისას!

ეს ერემია ვასილიევიჩი იყო, სოფელ პრიგრევიცას ბავშვების აღმზრდელი და საეპარქიო საბჭოს ნამდვილი წევრი.

მაგრამ სად ვიშოვო ის ფერადები, რომ ეს დალმეჭილი სახე დავხატოთ, ეს ძველი აღთქმის დროის სათვალეები და პატარა, მწვანე თვალები, ისეთი ზრდილობითი რომაა, ყურადღებიანი? ვინ გამოიცნობს რა ფერისაა გახუნებული, გრძელი ხალათი, გაქონილი საყელო რომ აქვს, ჯიბე უკან, საიდანაც რაღაც საბრალოდ ცისფერ ცხვირსახოცს ამოუყვია ყური? სად არის ფერადი, რომ თუნდ ზედმიწევნილი სინამდვილით მოვხაზოთ ფეხსახვევები, ისეთი ძველი და გათხუპნული, რომ შეუძლებელია იმის თქმა—რა ფერისაა? მხოლოდ სტატსკი სოვეტნიკს, მოხუც ხაზინადარ იოსიმე ანტონოვიჩს თუ ექნება ისეთი ბურნუთის კოლოფი, როგორიც ერემია ვასილიევიჩსა აქვს.

— როგორ გეძინათ?—ეკითხება მამა-დამიანეს.

— გმადლობ, გმადლობ,—უპასუხებს დამიანე,—მშვენიერად მეძინა, მშვენიერად!

— კბილი? კბილი როგორღა გაქვს?

— გმადლობ, რომა მკითხულობ,—ეუბნება ისევე ხმით მამა დამიანე—აღარც კბილი მტკივა... იცი, თეთრი ხახვი და ცოტაოდენი... სულ დამიამა, სულა.

— არ ინებებ?—ეუბნება მასწავლებელი და მამა დამიანეს ლამაზად გაუწოდებს ბურნუთის კოლოფს, თან კი ოდნავ მოიხრება წელში.

ორივე ერთად ჩაჰყოფს თითებს კოლოფში, ამოიღებს ბურნუთს, განსაკუთრებული სიამოვნებით მიაქვთ ცხვირთან, იყნოსავენ და ცხვირს ხმა-მაღლა აცემინებენ.

— იჰ, იჰ, მშვენიერი ბურნუთია, მშვენიერი,—ამბობს მამა დამიანე,—ხელმეორედ სჭიმავს სახეს და ცხვირის დასაცემინებლად ემზადება.

— მშვენიერი ბურნუთია,—ადასტურებს მასწავლებელი და თან შუბლს იჭმუხვნის და წარბს იკრავს.

— ფჩიი!—აცემინებს ცხვირს მამა დამიანე.

— აფჩიიი!—აცემინებს მასწავლებელი.

— ხეირი!—ეუბნება დამიანე მასწავლებელს.

— დღეგრძელობა!—ეუბნება დამიანეს მასწავლებელი.

შემდეგ ორივე ჯდება ეკლესიის გრძელ სკამზე. დამიანეს ხელში უჭირავს ბურნუთის დანარჩომი, თითქოს რწყილი დაუჭერიაო, მასწავლებელი საამოდ უჭერს თითებს ბურნუთს, ერთს თვალსა ჰხუჭავს, მეორეს კი ეშმაკურადა ჰკიჟავს.

ამ დროს ფოსტის გამგის კარი გაიჭრიალებს. ოჰ, რა საცოდავად იცის იმ კარებმა ჭრიალი!.. კარებიდან ჯერ დიდი ჩიბუხი გამოჩნდება, შემდეგ ხელი, ეს ჩიბუხი რომ უჭირავს. შემდეგ თანდათან გამოჩნდება შეჭაღარავებული წვერი და უჩვეულო, ვეება სათვალეები, ბოლოს კი წარმოსდგება მთელი თავისი სისრულით და სიგანითა ბატონი ანასტასი მარინქოვიჩი, მცხოვრები და ფოსტმეისტერი სოფელ პრიგრევიცისა.

ფოსტმეისტერი თავისი ჩიბუხით ჯერ ისევ შორიდან ძირს დაიხრება, დაბლა დაუკრავს თავს და ამაყი გამოსწევს გზაზე.

წარსული ბატონ ფოსტმეისტერისა შორეულ წელთა წიაღში იკარგება. მართალია მხოლოდ ის, რომ იმაზე არავინ არაფერი იცის



† რუმინიის ქვრივი დედოფალი
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი (კ ა რ მ ე ნ ს ი ლ ვ ა).

ნამდვილი. ეხლა ფოსტის გამგეა. და ყოველ მცირე დღესასწაულშიც კი მის ფართო მკერდზე, საკმაოდ ვიწრო სერთუკი რომ აქვს ზედ გადალასტული, ჰკონწიალობს ხოლმე საგანგებოდ გაწმენდილი ორდენი, ნამდვილი ორდენი!

ერთი ზნე სჭირს მხოლოდ ცუდი. უყვარს საშინლად, ულმეროდ ტყუილი, მაგრამ რაც მართალია, მართალია. არას დროს არ უცრუვნია ავი გულის თქმითა. თუმცა არ შეიძლება სთქვას კაცმა—ძლიერა სცრუობსო, არა, ხანდახან ცოტათი სცრუობს ხოლმე.

---

*) მშვენიერად აქვს პროშიჩს დახატული სოფლის მცონარა ინტელიგენცია. სურათის გადათვალიერების შემდეგ, არ შეიძლება ჩვენს მკითხველს არ წარმოუდგეს თვალწინ ქართველი ინტელიგენცია, რომლისთვის ბედს სოფლად ყოფნა ურგუნებია და მთქნარებასა და უმოქმედობაში ჰლევს თვის დღესა.
ს—გ.



ვილჰელმი სერბიაში.

მამა დამიანეც, ერემია ვასილიევიჩიც ისე, მჯდომიარე მიესალმა ფოსთმეისტერს, ორივეს უნდოდა ეთქვა, მაგრამ ერემია ვასილიევიჩმა დაასწრო:

— დილა მშვიდობისა!

მერე მამა დამიანემ:

— მშვიდობის დილას გისურვებთ!

ჯერ ბაასი პაპანაქება სიცხეზე ჩამოაგდეს. შემდეგ რომელიღაცას მოუვიდა თავში აზრი—უკეთესი იქნებოდა და ჯანმრთელობისათვისაც კარგი, რომ პრიგრევიცა რომელიმე მდინარის ნაპირას ყოფილიყო, ან და რომელიმე მდინარე პრიგრევიცას გვერდითა ყოფილიყოვო. ფოსთმეისტერმა ამ დროს ქუდი შუბლზე წამოიწია, მოხუჭა თვალი და დაამთქნარა. პრიგრევიცაში კი ყველამ იცოდა, რასაცა ნიშნავდა ეს. ალბად ფოსთმეისტერს რამე ტყუილი ჰქონდა სათქმელი. მართლაც ასე იყო. და მამა დამიანემაც, ქვეშ-ქვეშ რომ გაჰყურებდა, გულკეთილმა მასწავლებელმაც, ყველა ბეღურებმაც, პრიგრევიცაში სახლის სახურავებ ქვეშ რომ გაეჩინათ ბინა, ყველამ იცოდა, რომ ფოსთმეისტერი არას დროს არა ყოფილიყო იტალიაში და მაინც ყველანი უჯერებდნენ. ისე მიეჩვივნენ, რომა სჯეროდათ. და როცა იმათ მიყრუებულ პრიგრევიცაში, ეკლესიის აივანზე უკვე რომამდე მიაღწიეს, თვითონ ფოსთმეისტერი „ბევრჯელ რომა ყოფილიყო რომში“, ველარ გაიმეორებდა იმას, რაც იმათ დაუფქვა. წარბი შეეკრა, ბოლს ბოლზე უშვებდა პირიდან და ამ ბოლთან ტყუილს ტყუილზე აყოლებდა.

— როგორ არ ვიცი წმ. პეტრეს ეკლესია? მე ხომ ხუთ კვირამდე ვიყავი რომში, ვცხოვრობდი იმ ქოთქოთში, ღმერთმანი. სდგას ის ეკლესია ესე...

ყველა ქვეშ-ქვეშ გასცქეროდა და საეჭვოდ ახველებდა. მასწავლებელს კი ზრდილობიანად უკვირდა და ეუბნებოდა:

— უჰ, ღმერთო ჩემო! ვინ იცის რამოდენა კანდელები ჰკიდია, ჰა?!

— კანდელები? კანდელები, ბატონო ჩემო!—მიაყრიდა ფოსთმეისტერი, თითქოს საფანტს ისვრისო,—კანდელები, აბა რა-გითხრათ... მოიცათ! კანდელი იქ, მაგალითად, გთხოვთ, დაფიქრდით მხოლოდ,—თითო კანდელი დიდი კასრის ოდენაა.

— მერე შიგ რამდენი ზეთია საწვავი?

— საწვავი ზეთი?—უჰ, მთელი ტბაა, მაშ, გეუბნებით მთელი ტბაა მეთქი!!

— აჰ,—იძახდა მამა დამიანე,—ნუ თუ ყველაფერი ჰნახევით ეგა?

— მა რა,—ჩემის თვალითა ვნახე, ჩემის თვალით, ბამაო. ხომ იცით რასაცა ჰნიშნავს—ჩემის თვალით!

— კარგი, მაგრამ, თუ ღმერთი გრწამთ, მითხარით—როგორ ანთებენ მერე?

— ანთება ადვილია, სულ ადვილი: ჩასხდებიან ნავში, შეცურდებიან ზეთში, მოუსვამენ ნიჩბებით, მივლენ, აანთებენ და გამობრუნდებიან.

მამა დამიანეს ოფლი ჩამოსდიოდა შუბლზე, მასწავლებელი სიცხისაგან და ბურნუთისაგან ცხვირს აცემინებდა.

— ხეირი, ხეირი!—ეუბნება მამა დამიანე.

— ჰხედავთ, მართალია!—ადასტურებს ფოსთმეისტერი და თვითონვე სჯერა თავისი ზღაპარი. შეიძლება ბოლოს იტყვით—მარინქოვიჩი სულა სცრუობდაო, მაგრამ რაკი კარგი მამული აქვს, გგონიათ ეს შეცდომაა. რაღა არა აქვს? ყველაფერი აქვს, რაც კი კაცს გონებაში მოუვა. და როცა ზაფხულში, მაგალითად, მოუვა ახალი, თეთრი ხახვი, ზედ კაი ახალი ყველი, მაშინ მამა დამიანეც, მასწავლებელიც, მთელი პრიგრევიცის ინტელიგენცია... ეჰ!.. ყბებს ხომ არ შემოამტვრევთ, როცა კაცი ამბობს—ყველაფერი ჩემის თვალითა ვნახეო. თქვენთვის უფრო საყურადღებოა შემწვარი სიმინდი ვიდრე ბატონი მარინქოვიჩი.

აი რა ამბები ხდება პრიგრევიცაში დილით.

სადილ შემდეგ ნოტარიუსმა გამოიღო პირიდან კოვზი თუ არა, მაშინვე აახრჩოლა თავისი სიგარა (წარსულ არჩევნებიდან რამდენიმე დარჩა კიდევ) და ფეხებს თავისუფლება მისცა. ისე, მოუფიქრებლად, ფეხები სასოფლო სახლისკენ გასწევენ. იქ უკვე ჩრდილია წამომდგარი. ნოტარიუსს იქ მწერალი ელის ულვაშებშელებილი. თავაზიანად უხდის ქუდს, ოდნავ აღებს ბაგეს და წკრიალა ხმით ეუბნება:—გამარჯობა, ბატონო!.. ნოტარიუსი თავის ღირსებას უფრთხილდება, ფრიად ზრდილობიანად უპასუხებს მსუბუქი, ბოხი ხმით: გაგიმარჯოს, ზეჩევიჩო!..

კოშკზე საათმა ორის ნახევარი დაჰრეკა. და ყოველ დროს, როცა კი კოშკზე ორის ნახევარს დაჰრეკავს, შავ დიდგულას ბუჩქებიდან ბერძენი იობა გამოჰყობს ხოლმე თავს. ბერძენი იობა ჰყიდის კათრანს (ზღვის კომბოსტო), სოლინარებს, იგივე ეწევა დალალობას სხვა და სხვა საზოგადოებისა და განყოფილების შორის, რაც კი არის და არ არის პრიგრევიცაში. იობა მუდამ ყველაზე მაღალ პოლიტიკაზე მსჯელობს. იგი მაღლა არ აყენებს ბისმარკს, მაგრამ მაინც ამბობს: „ის ფუყე შვაბელი არ იყოვო“. ფრანგები, მისი აზრით, სულელი ხალხია, ვერც არავის მოეწონებიან. სამაგიეროდ რუ-



ლაზისთანი. ქალაქი ათინა.
(რუსებმა დაიპყრეს).

სები! ო, ეს სხვა საქმეა! ნამდვილი ყაზახები არიან და არაყსაც ისე არ ეტანებიან ომის დროს, სამაგიეროდ მშვიდობიანობისას თავს შიგ ილრჩობენ!

იობას ყოველ ჯიბეში გაზეთი ამოსჩრია. სამკითხველოს დაარსებაც კი უნდოდა და კინაღამ დაარსა კიდეც. ფული შემოაკლდა თორემ!

იობა მაინც ყველა გაზეთსა ჰკითხულობს. როცა რაიმე მოხდება ძლიერ საყურადღებო, მაგალითად, როცა თურქები პრიგრევიცას ალყას შემოარტყამენ, ის, რასაკვირველია, პირველი დროზე შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატყობინებს უფროსს. უფროსი შეატყობინებს ნოტარიუსს და სხვა დიდ პირებს. ისინი კი სოფლის მედოლეს საშუალებით და ქალბატონ ფერსეს პირით მოსდებენ მთელ პრიგრევიცას.

იობა, როგორც მუდამ, მიდის სასოფლო სახლთან. გაჩერდება და თავს უკრავს. ნოტარიუსი და მწერალი სალამს აძლევენ. და აქ, სასოფლო სახლის წინ, მაშინვე გაიმართება სამკითხველო, თვითონ იობა ამ სამკითხველოს მოსიარულე საგაზეთო ყუთია. ყველა ჰყოფს ხელს ამ ყუთში, ან და, უკეთ რომ ვთქვათ, იობას ჯიბეებში. ეხლაც ისე ხდება. გაჩერდება თუ არა ის და სალამს მისცემს, ფოსტმეისტერი გარბის იმისკენ ქოქინით.

— გამარჯობა, ბერძენო,—და უკვე ჩასტაცებს ხელს ერთ ჯიბეში.

— ცოტა წაგვთვლიმა?—ეკითხება ნოტარიუსი და ხელს უყოფს მეორე ჯიბეში.

— უკაცრავად,—ეუბნება ბოლოს ზეჩევიჩიც და უნდა ხელი ჩაუყოს ზემო ჯიბეში, მასხარას რომ ცალკე განყოფილებად აქვს.

უცებ აფრიალდება გაზეთის ფურცლები, გაჩნდება ყველა „ორგანო პოლიტიკური, სასარგებლო და გონების განმავითარებელი". გაჩუმდება ყველა. ის ღა ისმის ჟამ და ჟამ, რომ ჯადოქარივით იმეორებენ: „ჯან, ჯან!" ან და „ოჰო! ნება არა გაქვს!"

ზეჩევიჩი ათამაშებს მარცხენა წარბს და თანდათანა მშვიდდება. ფოსტმეისტერი ერთობა „ღია ბარათების" და „ცრუ დეპეშების" განყოფილებით, ყველა თავის საყვარელ განყოფილებას ჩააცხრება. ნოტარიუსი—კორესპონდენციებსა და განცხადებებს, ბერძენი იობა ზოგიერთ მოწინავე წერილს. ამასთან წარბს იკრავს და ტუჩებსა ჰკუმავს; ამით ჰპატავს ის თვის აწონ-დაწონილ აზრსა და მტკიცე რწმენას.

თანდათან ლაპარაკსაც ჩამოაგდებენ და მადლობა ღმერთს! აქ გაიგონებთ ათასგვარ რამე-რუმესა და მტკიცებას. ბოლოს იქამდე მიდიან, რომ ერთი ერთმანეთს დაუწყებენ რწმუნებას ეგ სულ ერთია ყველაფერი,—ყური დავუგდო მარინქოვიჩს, როგორ გიამბობს თავის კანდელებზე თუ წაიკითხო გაზეთები და იმათი მეთაურები. სულ ერთი, სულა!

აგერ პაპა ფერაც! ის „ადგილობრივ და საოლქო ამბების" განყოფილებას წარმოადგენს. მიდის საამოდ მოღიმარე და ყველას ცალკე აძლევს სალამისა. ვის ეუბნება: „გამარჯობაო!" ვის „ჯანმრთელ იყავიო!" ვის: „შენი მორჩილი მონაო", ისე, ვისაც როგორ შეჰფერის.

პაპა-ფერი—ეს საერთო საგანძურია, ის პაპაა მთელი პრიგრევიცისა. ის ყველა ობოლის თუ არა ობოლის მზრუნველია. ნამდვილად ის არავისი პაპაა და იმავე დროს პაპაა ყველასი. ამიტომ ყველაფერი იცის. იცის, ეცქო თურფინას სახელწოდების დღე როდის არის, იცის, მოხუც ნედიჭკას რა მოხრაკული ჰქონდა შარშან დღეობაში, იცის—ფოსტმეისტერის შავ სერთუკზე რამდენი ღილი აბია. იცის, ყველაფერი იცის! ამიტომ ის უფრო საყურადღებოა ყველა მცირემნიშვნელოვან გაზეთზე. გაზეთმა „პრიპოსლანამ" და ყველა მეთაურმა წერილმაც კი დაჰკარგა თვისი ნამდვილი ინტერესი, პაპა-ფერის აქციებმა კი ფრიად აიწია დ ასე უძახიან: „ადგილობრივი დ საოლქო ცნობებიო".

— საიდან მობრძანდები, პაპა ფერა, საიდან?

— აგერ,—უპასუხებს ფერა,—ბატონიაანთგან მოვდივარ!

— ჰაა, ბატონიაანთგან!? ეკითხება ნოტარიუსი,—სხვა, როგორ არის ბატონი?

— უკედ არის, უკედ, გმადლობთ; ბევრად უკედ არის!

-- ყველაფერი ეგ,—ერევა ფოსტმეისტერი გაბრაზებული,—სისულელეა, გაიგეთ? სისულელე. ასჯერა ვთქვი—ლუდი „სერბინს" არ გამოადგება მეთქი. ის ჩემი ბრალია, ჩემი.

ნოტარიუსი თავს ჩაუქნევს თანხმობის ნიშნად, თავს უქნევს ზეჩევჩიც. ყველანი თავის ჩაქნევით ადასტურებენ თავის სრულ თანხმობას.

უცებ რაღაცა აგრიალდება. თითქოს ვიღაცა ლაპარაკობს კასრში მჯდარიო.

— ფერა, არ იცი—ხვალ თევზი მოხვდება?

ეს ფანჯრიდან ხრინწიანი ხმით სოფლის უფროსი ლაპარაკობს. ის ჩუმად შედის თავის კანცელარიაში, ხრუტუნებს თავის საყვარელს სიმღერებს ჩვეულებრივ და ეხლა ფანჯარაში გამოჰყო თავისი მოტვლეპილი თავი და ყურს უგდებს თვის თანამოქალაქეთა სხვა და სხვა ლაპარაკს, თითქოს ელექტრონის ტალღამ დაუარაო, ისე შეიცვლება პრიგრევიცის ინტელიგენციის გუნება უცებ. ყველას უნდა რამე მაინცა სთქვას.

— ჰაა, ერთი უყურეთ, უკვე აქა ყოფილხართ?

— ჰნახე, ჩვენ კი არ ვიცოდით და!..

— მოხვდება, მოხვდა,—უპასუხებს პაპა-ფერა და ზრდილობიანად ცხვირს იხოცავს ცისფერ ცხვირსახოცით,—თევზი მოხვდება!

და ყველას პირიდან ნერწყვი მოსდის, ადგილობრივ ცოცხალ გაზეთიდან როცა ამ ცნობას ამოიკითხავენ. ნოტარიუს ნათლად ელანდება უკვე, გემრიელი წვენი როგორა ჩუხჩუხებს და იქიდან თევზს როგორ ამოუყვია თავი. სიამისაგან ზეჩევიჩი ცხვირს იხოცს და გვერდზე აფურთხებს. ხვალ პაპა-ფერია დაიჭერს საზანპარუხსა და კაპარჭინას, მთელ პრიგრევიცელების საყვარელ თევზებს, მიუტანს უფროსის ცოლს; ის, რასაკვირველია, ფერას სადილზე არ გამოუშვებს და უფროსი კი დაჰპატიჟებს ყველა დანარჩენ მეგობრებს.

— პაპა, რამდენს დაიჭერ, რამდენი წამოვიღოთ მაინც?

— როგორც წინად ვიჭერდი,—უპასუხებს ფერა.

შემდეგ ლაპარაკი გადადის ცხონებულ მამა აბრამზე ისე საშინლად რომ უყვარდა თევზი. მოიგონებენ იმასაც, ფოსტმეისტერმა რომ ერთხელ თევზაობაზე სამი ქვაბი თევზის წვენი შესჭამა, ხოლო მეოთხე ქვაბი გასკდა და ყველა ხახამშრალი დარჩა. ხანდისხან ეხლაც კი ამოაბოყინებს ხოლმე იმ წვენსაო, ამბობენ. და ბოლოს ყველა იცინის და ჰფიქრობს—ხვალ როგორ ჩავილოკავთ თევზის შემდეგ თითებს და ტკბილი ღვინოთი ყელს ჩავიკოკლოზინებთო.

საღამო ჟამის წინ ჩვეულებრივად გროვდებიან ფოსტმეისტერიისას ფანჩატურში. კარგი ფანჩატურია, სქლად შემოგრაგნილი სვიითა. მაღლა სანათი ჰკიდია და მთელს ფანჩატურს ანათებს. ფოსტმეისტერი გრძელ სოლინარით სწევს თუთუნს—ხმარობს იმას მხოლოდ სუფთა ჰაერზე—და იწყებს სათამაშო ქაღალდის არევას. აქ სხვებიც ეხმარებიან.

— აბა, აურევთ?—მიუბრუნდება ფოსტმეისტერი რომელიმე სტუმართაგანს.

— ავურევ, ავურევ!

— ე მაკოვსკი სადღაა ნეტა?

სოფლის უფროსის გვარი მაკოვსკია.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, ეხლავე გვეწვევა!

გადაჰკრავენ ცოტაოდენს თეთრს, მიუჭახუნებენ ერთმანეთს ჭიქებს, ჩაახველებენ ბებრულად, მკვლელი თვალით ქვეშ-ქვეშ გამოჰხედავს მასპინძელი და წარმოსთქვამს:

— ეჰ, კარგი „ბაშა" კი არა გვყავს და!

მაგრამ ამ დროს კარები გაიჭრიალებს.

— ჰაა, მაკოვსკი, მაკოვსკი! მობძანდით, მობძანდით!.. და დაიწყებენ „პრეფერანსის" თამაშობას. უფროსი ისე იქნევს ხელს და ქაღალდს ახეთქებს, რომ ხელი სტკივა. ფოსტმეისტერი ელის და გაგრძელებით ამბობს:

— დეე იფიცხოს, დეე!

სხვები იცინიან და ჟამ და ჟამ რაღაც სიხარულით წამოიყვირებენ:

— პაპა მოიგებს, პაპა! პაპა მოიგებს!

ყველამ თავისი საყვარელი სიტყვა იცის. სულ იმას ამბობენ და ყველა იმაზე იცინის.

მერე ნოტარიუსიც მოდის, გვიან. დ ისხამს ღვინოს, ფოსტმეისტერს დაჰკრავს ხელს ხელის გულზე და გადაჰხუხავს.

პრიგრევიცის ახალგაზრდობა დროს მინდორში ატარებს, მხიარულობს. ქალბატონი მასწავლებელი ქალბატონ დარინკასთან ერთად იქვე ახლოსა სეირნობს, მღერიან სიმღერას, ასე რომ იწყება: „ნახევარ გული, ნახევარი!.." თავდება კი: „მთელ სისხლსა ჩემსა"-ო!

ზეჩევიჩი ქუდს იხდის თავს მაღლა იღებს, ნათელ თვალს მოავლებს ყველას და ეუბნება: „ზლატნუ სლავინუ" დავძახოთო.

მღვდლის მოხუცი ცოლი სახლის წინა ზის დ ნედიჭკას ელის. ზის გაჩუმებული და კოლოფიდან ბურნუთსა სწევს. ბევრი რამ აქვს სალაპარაკო.—როდის იქნება, რა დღეს ფერისცვალება? გამოიცვლება ამინდი? სად იყიდა ნეტა უფროსის ცოლმა ახალი ფარდები? და როგორ უყვარს მასწავლებელს ქონში მოხრაკული სოკო!..

ცა ვარსკვლავებით იჭედება. საამო სიო დაჰბერს პრიგრევიცას. ჟამ და ჟამ მედოლე ჩაივლის ქუჩაში და დოლს ურახუნებს.

— ღამე მშვიდობისა!

— ღამე მშვიდობისა! ისმის სხვა და სხვა ალაგას.

ყველა და ყველაფერი წყნარ ძილს მიეცემა. მხოლოდ აბეზარი კოღოები ფოსტმეისტერს დაჰბზუიან თავს.

— კიდევ!—წამოიყვირებს ის და შუბლზე სილას გაიტკაცუნებს.

უფროსი კი ბრუნდება ლოგინში მეორე გვერდზე და ოხვრით ამბობს:

— ნეტა კი დასავლეთის ქარმა არ დაუბეროს და!..

**ხანგანიძე.**

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩა. სტამბა „შრომა". რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.